საიდ. №73278/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №13-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „Global Education LLC”-ს სააპელაციო საჩივარი (საიდ. №13-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 ნოემბრის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ №1683/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც კომპანია „ჰმ პაბლიშერზ ჰოლდინგზ ლიმიტიდ”-ის (HM Publishers Holdings Limited) სახელზე დარეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი „MACMILLAN” (საიდ. №73278/03) მე-9 და 41-ე კლასის საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლისათვის და შპს „Global Education LLC”-ის სახელზე დაჩქარებული წესით დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „MACMILLAN“ (საიდ. №72790/03) რეგისტრაციის აღდგენა საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის (მე-9 და 41-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 28 ნოემბრის დაჩქარებული წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ №1679/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, კომპანიამ შპს „Global Education LLC" 2013 წლის 20 ივნისს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულცენტრ „საქპატენტში" წარმოადგინა განაცხადი (საიდ. № 72790/03) სასაქონლო ნიშნის „MACMILLAN" დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ. სასაქონლო ნიშანი დაჩქარებული წესით დარეგისტრირდა 2013 წლის 08 ივლისს მე-16 და 41-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისათვის და გაიცა შესაბამისი სიგელი.

2013 წლის 29 ივლისს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი" ჩვეულებრივი წესით სარეგისტრაციოდ შემოვიდა კომპანია „ჰმ პაბლიშერზ ჰოლდინგზ ლიმიტედის" (HM Publishers Holdings Limited) განაცხადი სასაქონლო ნიშნის „MACMILLAN" (საიდ. №73247/03) მე-16 კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის, ხოლო 2013 წლის 30 ივლისს ასევე ჩვეულებრივი წესით სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ იქნა იმავე კომპანიის „ჰმ პაბლიშერზ ჰოლდინგზ ლიმიტედის" (HM Publishers Holdings Limited) სასაქონლო ნიშანი „MACMILLAN" (საიდ. №73278/03) მე-9 და 41-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისათვის. ზემოაღნიშნულ განაცხადებზე კომპანია „ჰმ პაბლიშერზ ჰოლდინგზ ლიმიტედის" (HM Publishers Holdings Limited) წარმომადგენელმა 2013 წლის 27 აგვისტოს (საქპატენტში შემოსვლის თარიღი: 29/08/2013; შემოსვლის №73247/03; 73278/03) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე ექსპერტიზის დაჩქარებული წესით ჩატარება. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, კომპანია „ჰმ პაბლიშერზ ჰოლდინგზ ლიმიტედის" (HM Publishers Holdings Limited) განაცხადებს დაუდგინდათ შპს „Global Education LLC"-ზე უფრო ადრინდელი პრიორიტეტები, ვინაიდან მათ მოთხოვნილი ჰქონდათ საგამოფენო და კონვენციური პრიორიტეტები და შესაბამისად წარმოდგენილ იქნა ადრინდელი პრიორიტეტის დამადასტურებელი „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი დოკუმენტები. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სასაქონლო

ნიშნის „MACMILLAN” (საიდ. №73247/03) პრიორიტეტის თარიღია: 08/04/2013 წ. ხოლო სასაქონლო ნიშნის „MACMILLAN” (საიდ. №73278/03) პრიორიტეტის თარიღია: 16/04/2013 წ. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15[1] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „თუ სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შემდეგ საქპატენტში შევა უფრო ადრინდელი პრიორიტეტით სარგებლობის უფლების მქონე განაცხადი და დაჩქარებული წესით რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან მიმართებით იარსებებს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში დგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან ძირითადი სიტყვა, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი ან/და მომსახურება მეორისაგან არის „MACMILLAN“-ი, შესაბამისად შპს „Global Education LLC“-ს სასაქონლო ნიშანი (საიდ. №72790/03) და კომპანია „ჰმ პაბლიშერზ ჰოლდინგზ ლიმიტედის“ (HM Publishers Holdings Limited) სასაქონლო ნიშნები (საიდ. №73247/03); (საიდ. №73278/03) აღრევამდე მსგავსია მე-16 და 41-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია „ჰმ პაბლიშერზ ჰოლდინგზ ლიმიტედის“ განაცხადები სარგებლობს უფრო ადრინდელი პრიორიტეტით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15[1] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, დაჩქარებული წესით რეგისტრირებული შპს „Global Education LLC“-ის სასაქონლო ნაშანი (რეგ. № 23837) ექვემდებარება გაუქმებას.

აპელანტი შპს „Global Education LLC” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის განაცხადს საიდ. № 73278/03 კონვენციური პრიორიტეტი დაუდგინდა კანონის უხეში დარღვევით, რადგან აღნიშნულ განაცხადზე 2013 წლის 29 აგვისტოს წერილს რეგისტრაციის დაჩქარებული პროცედურით ჩატარების შესახებ, არ ერთვოდა „სასაქონლო

ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-15[1] მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ყველა საბუთი, კერძოდ, კონვენციური პრიორიტეტის დასადასტურებლად მხოლოდ 2013 წლის 5 სექტემბერს იქნა წარმოდგენილი პირველი განაცხადის სკანირებული ასლები, რაც წარმოადგენს როგორც პროცედურული ვადის დარღვევას, ასევე, პირველი განაცხადის გამცემი უწყების მიერ პირველი განაცხადის ასლის დამოწმებული ორიგინალის და მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენის მოთხოვნის დარღვევას. აპელანტის პოზიციით, სირიაში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით პირველი განაცხადის სათანადოდ დამოწმებული ასლისა და თარგმანის წარდგენის დამატებითი ვადად საქპატენტმა დაადგინა „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით საგამოფენო პრიორიტეტის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისათვის განსაზღვრულ დამატებით ერთთვიანი ვადა, რაც გაუგებარი მოტივაციაა სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული პროცედურით რეგისტრაციის შემთხვევაში, თუმცა 13 სექტემბერს წარდგენილ პირველი განაცხადების დამოწმებულ ასლებს ნოტარიალურად დამოწმებულ თარგმანთან ერთად 20 სექტემბერს საქპატენტმა ისევ დაუდგინა ხარვეზი, რომლის გასწორებაც მოითხოვა 15 დღიან ვადაში „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. საქპატენტის ეს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, როდესაც ხარვეზის გასასწორებლად 15 დღიანი ვადა განისაზღვრა „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არასწორია, ვინაიდან მითითებული პუნქტი არ იცნობს ასეთ ვადას, ხოლო „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-15 პრიმა მუხლის მე-4 პუნქტი არ ითვალისწინებს დოკუმენტების წარსადგენად განმეორებითი 15 დღიანი ვადის მიცემას. რაც შეეხება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ვადის გაგრძელებას, ასეთ შემთხვევაში ვადის გაგრძელება წერილობით უნდა იქნას მოთხოვნილი, რისი დამადასტურებელი საბუთიც საქპატენტიდან გამოთხოვილი

განაცხადის მასალებში არ მოიპოვება. მიუხედავად ზემოთქმულისა, კანონის დარღვევით მიცემული 15 დღიანი ვადაც დარღვეულია და მოთხოვნილი დოკუმენტები საქპატენტში წარდგენილია 10 ოქტომბერს, როდესაც წარდგენის ბოლო ვადა იყო 7 ოქტომბერი. აპელანტის მითითებით, 2013 წლის 4 ნოემბრის წერილით საქპატენტი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ისევ აძლევს განმცხადებელს 15 დღიან ვადას და მოითხოვს ამ ვადაში განმცხადებლის მიერ 10 ოქტომბერს წარდგენილ დოკუმენტებში დაფიქსირებული უზუსტობების გასწორებას. საქპატენტის ეს 15 დღიანი ვადაც წარმოადგენს კანონის დარღვევას, ვინაიდან „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დამატებითი ვადა გაიცემა ერთხელ და ისიც წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც გამოთხოვილ განაცხადის მასალებში არ ჩანს. აპელანტის პოზიციით, არასრულყოფილი კონვენციური პრიორიტეტის დამადასტურებელი არასრულფასოვანი დოკუმენტების მრავალჯერადი წარდგენისა და პროცედურული ვადების ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევების შემდგომ, კერძოდ, 2013 წლის 11 ნოემბერს საქპატენტს წარედგინა დამოწმებული პირველი განაცხადის ასლი ნოტარიალურად დამოწმებულ თარგმანთან ერთად, თუმცა, ამ თარიღისათვის გასული იყო კონვენციური პრიორიტეტის მოთხოვნის ვადა - 2013 წლის 16 ოქტომბერი. სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდა კომპანიის „ჰმ პაბლიშერზ ჰოლდინგზ ლიმიტედ”-ის სახელზე 2013 წლის 29 ნოემბერს, ნაცვლად „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-15 პრიმა მუხლით განსაზღვრული 10 სამუშაო დღისა და დამატებითი მასალისათვის განკუთვნილი 15 დღისა და კიდევ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული 15 დღიანი ვადისა. ამასთან, საქმის ზეპირი მოსმენის სხდომის დროს აპელანტმა წარმოადგინა პირველადი განაცხადის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის თანახმად სასაქონლო ნიშანი „MACMILLAN“ რეგისტრირებულია ინგლისში 1997 წელს, ხოლო განაცხადი წარდგენილია 1994 წელს. აპელანტის განმარტებით, პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნებში პრიორიტეტი უნდა დამტკიცდეს პირველი განაცხადის თანახმად და გამორიცხულია შემგედი განაცხადების საფუძველზე პრიორიტეტის დადგენა.

აპელანტის მითითებით, განაცხადი „MACMILLAN”-ზე პირველად შევიდა 1994 წელს ინგლისში და შემდეგი განაცხადით დაუდგინდა პრიორიტეტი სირიაში. შესაბამისად, სირიის განაცხადი არ ყოფილა პირველადი განაცხადი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 ნოემბრის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ №1683/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც კომპანია „ჰმ პაბლიშერზ ჰოლდინგზ ლიმიტიდ”-ის (HM Publishers Holdings Limited) სახელზე დარეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი „MACMILLAN” (საიდ. №73278/03) მე-16 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვლისათვის და შპს „Global Education LLC”-ის სახელზე დაჩქარებული წესით დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „MACMILLAN“ (საიდ. №72790/03) რეგისტრაციის აღდგენას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

მოწინააღმდეგე მხარე „ჰმ პაბლიშერზ ჰოლდინგზ ლიმიტედ” არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს და განმარტავს:

მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, აპელანტი არასწორად განმარტავს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-15[1] მუხლს, რომელიც ეხება სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციას. კანონის ეს მუხლი არ კრძალავს, იმის შესაძლებლობას, რომ სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის მოთხოვნის ჩაბარების შემდეგ დადგენილ ვადაში, რომელიც როგორც წესი განისაზღვრება 15 დღით აღმოფხვრილ იქნეს ექსპერტიზის მიერ გამოვლენილი ხარვეზი. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, გაუგებარია თუ რატომ მიანიშნებს აპელანტი ძირითად არგუმენტად საქპატენტის მიერ პრიორიტეტის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისატვის დამატებითი ერთ თვიანი ვადის განსაზღვრას. კანონმდებლობა არ კრძალავს პარიზის კონვენციით დადგენილი პრიორიტეტის მოთხოვნისათვის პირველი განაცხადის დამოწმებული ასლის წარდგენის სამთვიანი ვადის გაგრძელებას შესაბამის საფასურის გადახდით. კანონმდებლობა ასევე არ განსაზღვრავს ნორმას, რომლის საფუძველზეც ეს წესი არ შეიძლება გავრცელდეს სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის მოთხოვნით შეტანილ განაცხადზე. ამდენად საქპატენტის მიერ პრიორიტეტის დამადასტურებელი დოკუმენტების

წარდგენისათვის შემოთავაზებული დამატებითი ერთ თვიანი ვადა არ ეწინააღმდეგება კანონს. გარდა ამისა პირველი განაცხადების დამოწმებული ასლების სკანირებული ვარიანტი საქპატენტს ჩაბარდა 2013 წლის 05 სექტემბერს, ხოლო 2013 წლის 13 სექტემბერს საქპატენტს წარედგინა მათი ორიგინალები ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ თარგმანებთან ერთად. მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, 2013 წლის 13 სეტქმებერს წარდგენილ დოკუმენტებს დაუდგინდა ხარვეზი და მხარეს მიეცა 15 დღიანი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რაც ასევე არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. ზემოაღნიშნული დოკუმენტების წარდგენის დამატებითი 15 დღიანი ვადის დარღვევა განაპირობა პირველი განაცხადის მიმღებ ქვეყანაში - სირიაში იმ დროს არსებულმა ფორსმაჟორულმა მდგომარეობამ, რაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს აპლენატის მხრიდან. მოწინააღმდეგე მხარის პოზიციით, ფორსმაჟორული მდგომარეობის არსებობა საკმარისი არგუმენტია იმისათვის, რომ არ იქნეს მოთხოვნილი წერილობით ხარვეზით განსაზღვრული დოკუმენტების წარდგენის ვადის გაგრძელება. მით უფრო, რომ ეს ფაქტი არაერთხელ იყო აღნიშნული წარდგენილ წერილებში და ასეთ შემთხვევაში უსაფუძვლოა მინიშნება, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 83-ე მუხლზე. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, ფორსმაჟორული მდგომარეობის არსებობა გამორიცხავს რაიმე ვადების დაცვას, ამიტომ გაუგებარია რა დროით უნდა მოეთხოვა განმცხადებელს დოკუმენტის წარდგენის ვადის გაგრძელება. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, განმცხადებლისათვის კონვენციური პრიორიტეტის დადგენა მოთხოვნილი იყო არა 2013 წლის 11 ნოემბერს, როგორც ამას აპელანტი აღნიშნავს, არამედ განაცხადის წარდგენისას კერძოდ 2013 წლის 30 ივლისს. დაგვიანებით მოხდა არა კონვენციური პრიორიტეტის მოთხოვნა არამედ პირველი განაცხადების დამოწმებული ასლების ჩაბარების ვადის გაგრძელება კანონით დაშვებულ ფარგლებში. მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, უსაფუძვლოა აპლანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუ სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაცია არ მოხდა 10 სამუშაო დღეში ეს რეგისტრაცია ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ეს მოსაზრება უსაფუძვლოა, რადგან სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის პროცედურა არ გამორიცხავს საქპატენტის მხრიდან ხარვეზის დადგენას და ხარვეზის აღმოსაფხვრელად დამატებითი დროის განსაზღვრას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგ მხარე ითხოვს საქპატენტის

სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 ნოემბრის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ №1683/03 ბრძანების ძალაში დატოვებას და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას საკონვენციო პრიორიტეტის დადგენასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის C (4) პუნქტის თანახმად, თუ „მომდევნო განაცხადი, რომელიც შეტანილია კავშირის იგივე ქვეყანაში და ეხება იგივე ობიექტს, რასაც წინა პირველი განაცხადი, რომელიც ასეთად მიიჩნევა, ზემოთ მოყვანილი მე (2) პუნქტის მნიშვნელობით, განიხილება როგორც პირველი განაცხადი, რომლის შეტანის თარიღი წინა განაცხადის პრიორიტეტის ვადის ათვლის წერტილია, თუ მომდევნო განაცხადის შეტანისას, აღნიშნული წინა განაცხადი გატანილ იქნა, მასზე შეწყდა საქმის წარმოება ან მას ეთქვა უარი ისე, რომ არ მომხდარა მისი გამოფენა საჯარო განხილვისათვის და არ დარჩენილა სადაო უფლებები და თუ ამ მომენტამდე იგი არ იქნა გამოყენებული პრიორიტეტის მოთხოვნის საფუძვლად. აღნიშნულის შემდეგ წინა განაცხადი ვეღარ გახდება პრიორიტეტის მოთხოვნის საფუძველი.“ აქედან გამომდინარე, სააპელაციო კოლეგია განმარტავს, რომ პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის C (4) ნაწილი საუბრობს იმ შემთხვევაზე, როდესაც მომდევნო განაცხადი შეტანილია კავშირის იგივე ქვეყანაში და ეხება იგივე ობიექტს, რასაც წინა პირველი განაცხადი. შესაბამისად 1997 წლის 3 იანვარს სასაქონლო ნიშნის „MACMILAN” რეგისტრაცია და 1994 წელს წარდგენილი პირველი განაცხადი გაერთიანებულ სამეფოში, ვერ გახდება იმის საფუძველი, რომ განმცხადებელს არ აქვს უფლება სირიაში შეტანილი განაცხადის საფუძველზე მოითხოვოს საკონვენციო პრიორიტეტი საქართველოში. ამასთან კოლეგია ყურადღებას ამახვილებს პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის A (2) ნაწილზე, რომლის შესაბამისად, „ნებისმიერი განაცხადის შეტანა, რომელიც სწორად გაფორმებული ეროვნული განაცხადის შეტანასთან არის გათანაბრებული კავშირის რომელიმე ქვეყნის ადგილობრივი

კანონმდებლობის ან კავშირის ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად, აღიარებულია როგორც პრიორიტეტის უფლების წარმოშობის საფუძველი". აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სირიაში შეტანილი პირველი განაცხადის დამოწმებული ასლი წარმოადგენს იმ დოკუმენტს, რომელიც არის პრიორიტეტის წარმოშობის საფუძველი. აპელანტმა ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ სახეზეა პარიზის კონვენციის მე-4 მუხლის C (4) ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები, რომლითაც შეიძლება სადავო გახდეს 2013 წლის აპრილის პრიორიტეტის მოთხოვნა. აპელანტის მიერ წარმოდგენილი 1994 წლის დიდ ბრიტანეთში შეტანილი პირველი განაცხადის ასლი არ ზღუდავს განმცხადებელს 1994 წლის შემდეგ პარიზის კონვენციის წევრი ქვეყნების ტერიტორიიდან მოითხოვოს საკონვენციო პრიორიტეტი რა თქმა უნდა ასევე პარიზის კონვენციით განსაზღვრული 6 თვიანი ვადის დაცვით.

კოლეგია ასევე მიიჩნევს, რომ მართალია, სასაქონლო ნიშანი საიდ. №73278/03 არ დარეგისტრირდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული დაჩქარებული პროცედურისათვის დადგენილ 10 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ ექსპერტიზის საქმის წარმოებიდან გამომდინარე სახეზე არ არის ვადების ისეთი დარღვევა, რომელიც განაცხადის რეგისტრაციის ჩვეულებრივი პროცედურით განხილვის შემთხვევაშიც კომპანია „ჰმ პაბლიშერს ჰონდინგზ ლიმიტიდ"-ის მიმართ სასაქონლო ნიშნის „MACMILLAN" (საიდ. №73278/03) რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამოიწვევდა სხვა სამართლებრივი შედეგის დადგომას. შესაბამისად, აპელანტის არგუმენტაცია ვადებთან დაკავშირებით, არ არის საკმარისი საფუძველი კომპანია „ჰმ პაბლიშერს ჰონდინგზ ლიმიტიდ"-ის სახელზე რეგისტრირებული ნიშნის „MACMILLAN" (საიდ. №73278/03) ბათილად ცნობისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 ნოემბრის №1683/03 ბრძანების სასაქონლო ნიშნის „MACMILLAN" (საიდ. №73278/03) დაჩქარებული წესით რეგისტრაციიის შესახებ ბათილად ცნობის

და შპს „Global Education LLC”-ის სახელზე დარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნზე „MACMILLAN“ (საიდ. №72790/03) გაუქმებული რეგისტრაციის აღდგენის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „Global Education LLC”-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 29 ნოემბრის №1683/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. გიქორაშვილი
წევრები:	ლ. ახობაძე
	დ. ჭიჭინაძე